მოცემული მუშა დოკუმენტაცია დამუშავებულია შ.პ.ს “ქართული ცემენტი“-ის დავალების საფუძველზე და ითვალისწინებს ქ. რუსთავის ცემენტის ქარხნის „გამაციებლის“ ლითონის კოშკზე შუალედური ბაქნის მოწყობის კონსტრუქციული პროექტის დამუშავებას

„გამაციებლის“ ლითონის არსებული კოშკი, ზომებით გეგმაში 5.50 * 5.50 მ, სიმაღლე 29.30მ, პრიზმის ფორმის სივრცული კონსტრუქციაა და აგებულია შედგენილი ჯვარედინა კვეთის კუთხოვანებისაგან

ლითონის შუალედური ბაქანი + 28.880მ ნიშნულზე მოეწყობა კოშკის პერიმეტრზე, დიაგონალის კუთხეებში და გათვალისწინებულია „გამაციებლის“ კონსტრუქციის მიმდინარე რემონტისათვის საჭირო ინვენტარული (0.80*7.50*10.00მ, უჯრედი - 0.80*2.50*2.00 მ) საფასადე ხარაჩოს განთავსებისათვის. ინვენტარული ხარაჩო აუცილებელია აღჭურვილი იყოს შიდა კიბით

შუალედურ სარემონტო ბაქანზე გადასასვლელად მოეწყობა ლითონის კიბე წინაგამახურებლის + 26.826 მ ნიშნულის ბაქნიდან. კიბის უჯრედის მიბმა დაზუსტდეს ადგილზე, პერიმეტრის შუალედური ბაქნის მოწყობის შემდეგ

ინვენტარული საფასადე ხარაჩოს კონსტრუქცია, აუცილებლად უნდა დამაგრდეს „გამაციებლის“ არსებული კოშკის ელემენტებზე. დამატებითი სამაგრი ჰორიზონტალური გრძივების საჭიროება, შეთანხმდეს ხარაჩოს ამწყობისას, კომპანიის სპეციალისტებთან და ქარხნის შრომითი უსაფრთხოების ინჟინერთან

**ლითონის ბაქანზე მოქმედი ნორმატიული დატვირთვა 500 კგძ/მ2**
**ერთ გვერდზე განთავსებული ინვენტარული (0.80*7.50*10.00 მ) ხარაჩოს საერთო წონა - 750 კგ. შესაბამისად ბაქნის 1 გრძ.მ ხარაჩოსგან მოქმედი ტვირთი - 100 კგძ/მ**
**დაუშვებელია „გამაციებლის“ რემონტის დროს ამოღებული დეტალების ან კონსტრუქციის, ხარაჩოს საფეხმავლო ბილიკებზე დასაწყობება**

შუალედური ბაქნის შიდა მხარეს მოაჯირების მოწყობის საჭიროება, შეთანხმდეს „გამაციებლის“ რემონტის სპეციალისტებთან და ქარხნის შრომითი უსაფრთხოების ინჟინერთან

შედუღების ნაკერის მინიმალური სისქე 3 ... 8 მმ. ლითონკონსტრუქცია გაიწმინდოს დაიგრუნტოს და შეიღებოს 2 ფენა ანტიკოროზიული საღებავით

ლითონის მასალის ხარჯი შუალედური ბაქნის მოწყობაზე - შველერი: 14 – 42 მ / 0.59ტ, 18 – 58 მ / 1.04ტ. ზოლოვანა: 4*100 – 50მ / 0.16 ტ, 8*80 – 32 მ / 0.16ტ. დაღარული ფურცელი t = 4მმ - 40 მ2 / 1.28 ტ. კვ. მილი: 60*60*4 – 8 მ / 0.06ტ, 40*30*2 – 48 მ / 0.11ტ, 30*30*2 – 36 მ / 0.07 ტ, 20*20*2 – 84 მ / 0.11ტ. ჯამი - 3.58 ტ. ნარჩენების და შედუღების ლითონის გათვალისწინებით - 3.58 * 1.04 = 3.73 ტ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შ.პ.ს „მუხა.გ“ | | | 2026 |
| დირექტორი | გ. გოგოლაძე | | შ.პ.ს “ქართული ცემენტი“. რუსთავის ცემენტის ქარხანა. „გამაციებლის“ ლით. კოშკზე შუალედური ბაქნის მოწყობა | | | |
| შეასრულა | გ. გოგოლაძე | | საერთო მონაცემები | სტადია | ფურც | ფურ-ბი |
| | | | | მ.დ | 1 | 3 |










არსებული ლიფტის (+ 26.826 მ ნიშნული) ბაქნიდან, შუალედურ სარემონტო (+28.880 მ ნიშნული) ბაქანზე ასასვლელი კიბის მიბმა შესრულდეს ადგილზე, შუალედური ბაქნის მოწყობის შემდეგ. კიბის საფეხურის სიგანე 240 მმ/მოკეცილი 40 მმ ბოლოებით, სიმაღლე 200 მმ. მასალა დაღარ. t = 4მმ ფურცელი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შ.პ.ს „მუხა.გ“ | | 2026 |
| დირექტორი | გ. გოგოლაძე | შ.პ.ს “ქართული ცემენტი“. რუსთავის ცემენტის ქარხანა. „გამაციებლის“ ლით. კოშკზე შუალედური ბაქნის მოწყობა | | |
| შეასრულა | გ. გოგოლაძე | | | |
| | | შუალედური ბაქნის ელემენტების სქემა. ჭრილი 1-1; 2-2 | სტადია | ფურც | ფურ-ბი |
| | | | მ.დ | 2 | 3 |










| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შ.პ.ს „მუხა.გ“ | | 2026 |
| დირექტორი | გ. გოგოლაძე | შ.პ.ს “ქართული ცემენტი“. რუსთავის ცემენტის ქარხანა. „გამაციებლის“ ლით. კოშკზე შუალედური ბაქნის მოწყობა | | |
| შეასრულა | გ. გოგოლაძე | | | |
| | | | სტადია | ფურც | ფურ-ბი |
| | | კვანძი 1 | მ.დ | 3 | 3 |